შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა

3 დეკემბერი 2023 წელი

კომიტეტის სხდომის ოქმი

კომიტეტის სხდომის თავმჯდომარე: ნიკო თათულაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში.

კომიტეტის სხდომის მდივანი: ანა ხაჭაპურიძე, - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი;

დანართები:

დანართი N1. სხდომის დღის წესრიგი;

დანართი N2. დამსწრე პირთა სია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, ნიკო თათულაშვილმა, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა აღნიშნული სხდომის შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო დღეს ჩატარების მნიშვნელობას. საუბრის დასასრულს ყურადღება გაამახვილა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის თანამშრომლობის აუცილებლობაზე და სიტყვა გადასცა პარლამენტის წევრს რატი იონათამიშვილს, რომელიც მიესალმა დამსწრეებს და მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს შეხვედრის გამართვისათვის. რატი იონათამიშვილმა აღნიშნა რომ 3 დეკემბერი არის შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო დღე, როდესაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით ფოკუსირდება საზოგადოება შშმ პირთა თანასწორობისა და საზოგადოებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. საუბრის დასასრულს რატი იონათამიშვილმა გამოხატა მოლოდინი, რომ მომდევნო წელს გამართულ სხდომაზე კიდევ მეტი მიღწევა აღინიშნება.

პარლამენტის წარმომადგენლის შემდეგ სიტყვა გადაეცა ვლადიმირ შკოლნიკოვს - გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის უფროსი მრჩეველი სამხრეთ კავკასიაში, რომელიც მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და გამოთქვა მადლიერება ღონისძიებაში მონაწილეობის შესაძლებლობისათვის. ვლადიმერ შკოლნიკოვმა შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს თარიღი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992 წელს დაარსდა. ხაზი გაუსვა შშმ პირთა დღის მნიშვნელობას კოლექტიურ ძალისხმევაში მიღწეულ იქნეს შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული ჩართულობა და მათი უფლებების ეფექტური რეალიზაცია. ვლადიმერ შკოლნიკოვის თქმით წლევანდელი თემა გავერთიანდეთ, რათა გადავარჩინოთ და მივაღწიოთ მდგრადი განვითარების მიზნებს შშმ პირებისთვის მათთან და მათ მიერ ხაზს უსვამს თანამშრომლობის სულისკვეთებას, რომელიც საჭიროა და მნიშვნელოვანი პროგრესისათვის. ყურადღება გაამახვილა ღონისძიების ფორმატზე და აღნიშნა, რომ მოხარულია, რადგან იმართება სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განიხილება მიღწეული შედეგები, არსებული გამოწვევები და დასახული მიზნები. მისი თქმით 3 დეკემბერი არის ყველასათვის მდგრადი, ინკლუზიური და სამართლიანი მომავლის შენების განახლებული მოვალეობა და იგი მოითხოვს თითოეული ადამიანის სრულ ჩართულობას. დადებითად შეაფასა ღონისძიების დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომხსენებელთა შორის შშმ პირთა არსებობა, მისი თქმით, სწორედ ეს მეტყველებს თანასწორ მოპყრობაზე. საუბრის დასასრულს ვლადიმერ შკოლნიკოვმა გამოთქვა მზაობა და სურვილი განაგრძოს კომიტეტთან თანამშრომლობა და მხარდაჭერა.

ნიკო თათულაშვილმა მადლობა გადაუხადა ვლადიმერ შკოლნიკოვს თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ კომიტეტთან ერთად შშმ პირთა უფლებების რეალიზაციაზე მუშაობს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, რომელიც ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და კვლევისა და ანალიზის სამმართველოსგან შედგება.

დეპარტამენტი ახალი ჩამოყალიბებულია, გუნდს ორი ახალი წევრი დაემატა და კიდევ იგეგმება თანამშრომლების მიღება.

თემი ქედელის წარმომადგენელმა ლალი ხანდოლიშვილმა სხდომაზე დამსწრეებს წარუდგინა სიღნაღის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის საჭიროების შესახებ კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია. მან ხაზი გაუსვა კვლევის მიზანს სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინკლუზიის, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ახალი სოციალური სერვისის - პერსონალური ასისტენტის პროგრამის იმპლემენტაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების პერსონალური ასისტენტის საჭიროებების იდენტიფიცირება პირისპირ გამოკითხვის პრინციპით, შესაბამისი კვლევის ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ანგარიშის წარდგენა პერსონალური ასისტენტის პროგრამის შემუშავებისათვის, თემი ქედელის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, ვიდეო რგოლის მომზადება პერსონალური ასისტენტის პროგრამის თაობაზე. პრეზენტატორმა განმარტა პერსონალური ასისტენტის მნიშვნელობა. პერსონალური ასისტენტის სერვისი არის მომსახურება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას. პერსონალური ასისტენტის მომსახურება არ ეხება განათლების სისტემაში პირის სპეციალიზებულ მომსახურებას და მხარდაჭერას. პერსონალური დახმარების აღნიშნული მიმართულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციებით. თუმცა, ასეთ მომსახურებებთან დაკავშირება და მომსახურების მიღებაში ხელშეწყობა შეიძლება იყოს პერსონალური ასისტირების ნაწილი. ასისტირება შეიძლება იყოს ორი სახის: რეგულარული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას, სატრენინგო კურსის გავლას. ამ დროს, საკმარისია ზოგადი/ძირითადი მოსამზადებელი სატრენინგო კურსის გავლა. სპეციალიზებული ასისტირების მომსახურება – ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას – სატრენინგო კურსის გავლას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების" მიხედვით პერსონალური ასისტენტი არ შეიძლება იყოს ოჯახის წევრი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს უფლება თავად აირჩიოს ვინ იქნება მისი პერსონალური ასისტენტი. პერსონალური ასისტენტი შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელიც გამოხატავს თანხმობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს გაუწიოს მისთვის საჭირო მომსახურება დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხისა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის გაზრდის მიზნით, განათლების

მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას, ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეუძლია ისარგებლოს პერსონალური ასისტენტის მომსახურებით თვეში მინიმუმ 60 საათის ოდენობით, თუმცა, ეს არ ზღუდავს მას საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მომსახურება აღნიშნულ საათებზე მეტი მოცულობით. ასისტირების საჭირო საათების მოცულობას მრავალდარგობრივი (მულტიდისციპლინური) ჯგუფი კონკრეტული საჭიროების შესწავლის საფუძველზე განსაზღვრავს. შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონის მე-20 მუხლი მუნიციპალიტეტები, 2025 წლის 1 იანვრამდე, ვალდებული არიან, უზრუნველყონ პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამული გაწერა, სერვისის მოცულობის განსაზღვრა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისი მიწოდების წესების შემუშავება ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან მათ უნდა უზრუნველყონ პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2022 წლის 18 თებერვალს დაამტკიცა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტებისა და წესები, მათ შორის, პერსონალური ასისტენტის შერჩევის კრიტერიუმები. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანება №01-13 სამაგიდე კვლევა - საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის კვლევა (კონვენცია, კანონი, სტანდარტები) რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა 2023 წლის აპრილი - ივლისის პერიოდში სიღნაღის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში. რაოდენობრივი კვლევის პროცესში მონაწილეობდნენ მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში. კვლევის ინსტრუმენტები: ინტერვიუ-ანკეტირება/პირისპირ გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით. კითხვარი მოიცავდა 19 შეკითხვას დახურული პასუხებით ,,არ ესაჭიროება დახმარება“ ,,ხშირად ესაჭიროება დახმარება“ ,,მუდმივად ესაჭიროება დახმარება“. გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წუთი. სამიზნე ჯგუფები: კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში (14 სოფელი) მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარები და მათი მშობლები/მხარდამჭერები. პრეზენტატორმა მსმენელებს გააცნო კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტში შშმ პირის სოციალური პაკეტის მიმღებია 868 ადამიანი.

რესპონდენტი

კვლევის ფარგლებში პირისპირ გამოკითხულ იქნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში (14 ადმინისტრაციული ერთეული) მცხოვრები 408 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 47%-ს წარმოადგენდნენ ქალები, მათ შორის 7% იყვნენ გოგონები. რესპოდენტების 40%-ს აქვს მრავლობითი, ხოლო 20%-ს სენსორული შეზღუდვები. გამოკითხულთა 7%-ს არ აქვს დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი (რომ არა თემი და მეზობლები მათ შესახებ ვერ გავიგებდით), 58% კი მნიშვნელოვნად გამოხატული

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. გამოკითხულთა 67% აქვს მრავლობითი და მძიმე შეზღუდვები. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა რესპოდენტების ასისტირების სფეროები, როგორიცაა თვითმოვლა და ჰიგიენა, კვება, საოჯახო საქმეები, მობილობა და კომუნიკაცია, ჯანმრთელობის დაცვა, საზოგადოებრივი ცხოვრება და დასვენება/რეკრეაცია, რთული ქცევის მართვა და განვითარება. თვითმოვლისა და ჰიგიენის ასისტირების კუთხით გამოკითხულთა 40-47% ხშირად და მუდმივად ესაჭიროება აბაზანა/ტუალეტში (სხეულის დაბანა, ფრჩხილების დაჭრა, ხელპირის დაბანა) დახმარება. ყველაზე ნაკლები რესპოდენტი საჭიროებს მენსტრუალური ციკლისა (4%) და ნერწყვდენის კონტროლს (11%). კვების სფეროში ასისტირების კუთხით გამოკითხულთა 40%-ს ხშირად და მუდმივად ესაჭიროება საკვების მომზადებაში დახმარება, კვების უნარების განვითარება/განმტკიცებაში დახმარება შესაბამისი სპეციალისტის მიერ მიწოდებული ინსტრუქციის ან კვების რეჟიმის მიხედვით რესპოდენტთა მხოლოდ 20%-ს სჭირდება. გამოკითხული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების 72%-ს ესაჭიროება დახმარება საყიდლებზე წასვლასა და კომუნალური გადასახადების გადახდაში. ხოლო 65-69% საჭიროებს სახლის დალაგებაში, ჭურჭლის და ტანსაცმლის რეცხვაში, საყოფაცხოვრებო ნივთების და საოჯახო ტექნიკის გამოყენებაში დახმარებას. მობილობის და კომუნიკაციის სფეროში ასისტირებისას დახმარების საჭიროება განსაკუთრებით გამოიკვეთა (72%) სახლის გარეთ, კერძოდ, დაწესებულებებში წაყოლათანხლება (ბანკში, ფოსტაში, აფთიაქში, სასწავლო, დასაქმების, სამედიცინო, საჯარო, სარეკრეაციო და სხვა), ღონისძიებებზე თანხლება, მათ შორის, ტრანსპორტში. რესპოდენტების 60% საჭიროებს საბუთების გაცნობაში დახმარებას. ჯანმრთელობის დაცვა ასისტირების ის სფეროა, რომელშიც გამოკითხული რესპოდენტების სრული უმრავლესობა საჭიროებს დახმარებას, ეს იქნება მედიკამენტების მიღება (88%), ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინციდენტების/ეპიზოდების მართვა (85%), პირველადი დახმარება (80%), ჯანდაცვის ობიექტებში მომსახურების მიღება (80%), დანიშნული პროცედურების/დავალებების შესრულება (85%). საგულისხმოა, რომ კვლევაში მონაწილე რესპოდენტების სრული უმრავლესობა - 96% არ საჭიროებს მშობლის როლის განხორციელებაში დახმარებას. რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმის სიღრმეს და დამოუკიდებელი პირადი ცხოვრების პოპულარიზაციის/ადვოკატირების აუცილებლობას. გამოკითხულთაგან მხოლოდ 13 პირი საჭიროებს ამ ტიპის ასისტირებას. გამოკითხული ბენეფიციარების სრული უმრავლესობა (98%) არ სარგებლობს არცერთი სოციალური სერვისით და იღებენ მხოლოდ მონეტარულ დახმარებებს, როგორიცაა სოციალური პაკეტი ან ერთჯერადი მუნიციპალური დახმარება. კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების თაობაზე მათი ოჯახების და მხარდამჭერების ძალიან დაბალი მიმღებლობა. ისინი (90%) კვლევის პროცესში აცხადებდნენ რომ არ სურთ პერსონალური ასისტენტის სერვისით სარგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე ყოველი მესამე ბენეფიციარი საჭიროებს რეგულარულ ასისტირებას. კვლევის ანგარიშს თან ახლავს შემდეგი რეკომენდაციები. შეიმუშაოს და ეტაპობრივად გაზარდოს რეგულარული პერსონალური ასისტენტის პროგრამა არანაკლებ 50 ბენეფიციარისთვის, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს ასისტენტების

სპეციალიზებულ მომზადებას. - უზრუნველყოს რეგულარული ასისტირება (თვეში 60 საათის განმავლობაში საჭიროების გათვალისწინებით), როგორც ეს განსაზღვრულია პერსონალური ასისტენტის სტანდარტით; - შეიმუშავოს სპეციალური პერსონალური ასისტენტის პროგრამა არანაკლებ 70 ბენეფიციარისთვის და ეტაპობრივად გაზარდოს პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა. ხელი შეუწყოს პერსონალური ასისტენტების მომზადების სასწავლო კურსების (ზოგადი და სპეციალიზირებული კურსები) განხორციელებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დონეზე, უზრუნვეყოს რეგულარული ასისტირებისთვის არანაკლებ 10 და სპეციალიზირებული ასისტირებისთვის არანაკლებ 20 პერსონალური ასისტენტის მომზადება; - შეარჩიოს პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები, რომელსაც ეყოლება მინიმუმ 10 გადამზადებული პერსონალური ასისტენტი; - ხელი შეუწყოს სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მოძიებასა და გაძლიერებას პერსონალის მომზადების თანადაფინანსების გზით. დაიწყოს პერსონალური ასისტენტის პროგრამის პილოტირება 2024 წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო 2025 წლიდან უზრუნველყოს პროგრამის სრულად ამუშავება; - აწარმოოს ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები შშმ პირთა, მათი მხარდამჭერების და ოჯახის წევრების ინფორმირებულობის ამაღლებისთვის (გამოკითხვის პროცესში იდენტიფიცირებულ იქნა მათი დაბალი მიმღებლობა ახალი სერვისების მიმართ); - განახორციელოს დამატებითი კვლევა 65 წელს გადაცილებული შშმ პირების (გამოკითხულთა 32%) საჭიროებების კუთხით, რათა სწორად მოხდეს მათთვის სერვისის შეთავაზება და ზოგიერთი მათგანი გადამისამართდეს შინ მოვლის სერვისებში. უზურუნველყოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვებისთვის (გამოკითხულთა 9,5%) დამატებითი სოციალური სერვისების მიწოდება, როგორიცა ბავშვთა აბილიტაცია, რეაბილიტაცია და სხვა. - განახორციელოს დამატებითი ჩაღმავებული კვლევა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და მშობლის უფლების განხორციელების საკითხზე; - წინამდებარე კვლევის საფუძველზე მოამზადოს მუნიციპალური პროგრამის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა მადლობა გადაუხადა პრეზენტატორს და აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაცია რეგულარულად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან, 2023 წლის ზაფხულში 63 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი შშმ პირთა საკითხების ბიუჯეტირების შესახებ და მომავალშიც გაგრძელდება თანამშრომლობა ამ და სხვა საკითხებზე.

კვლევის ანგარიშის პრეზენტაციის შესახებ მოსაზრება გამოთქვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ ბარკალაიამ. იგი მიესალმა დამსწრეებს, პრეზენტატორს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ქედელი ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობს. მან აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად შშმ პირთა მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის პერსონალური ასისტენტის პროგრამა ძალიან

მნიშვნელოვანია, ასევე აუცილებელია ადგილობრივ, მუნიციპალიტეტის დონეზე სერვისების შექმნა და განვითარება. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო, როგორც სოციალური რეაბილიტაციის პოლიტიკის შემქმნელი უწყება მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტებთან. ჯანდაცვის სამინისტროში მოქმედებს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სერვისებთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს. შემუშავებულია კონკრეტული სტრატეგიები და გეგმები, იმისათვის რომ გაუმჯობესდეს სერვისებზე ხელმისაწვდომობა. თამარ ბარკალაიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო დამოკიდებულია ადგილობრივ არასამთავრობო სექტორზე, სათემო ინიციატივებზე, რომ სახელმწიფომ შეძლოს თითოეულმა შშმ პირმა შეძლოს იმ სერვისის მიღება, რაც სჭირდება. თამარ ბარკალაიამ ისაუბრა პერსონალური ასისტენტისა და შინ მოვლის პროგრამების შესახებ. კანონი ითვალისწინებს პერსონალური ასისტენტის პროგრამის ამოქმედებას 2025 წლიდან, თუმცა საჭიროება დიდია და პროგრამა მალე დაიწყებს ფუნქციონირებას. თამარ ბარკალაიამ სიღნაღის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთ აქტიურ მუნიციპალიტეტად დაასახელა და აღნიშნა, რომ მათ პირველებმა დააინიცირეს ადგილობრივ დონეზე პერსონალური ასისტენტის პროგრამა. პერსონალური ასისტენტის პროგრამის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსის უზრუნველყოფა. დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგების ჩატარება და გადამზადება. თამარ ბარკალაიამ აღნიშნა, რომ შემუშავებულია პერსონალური ასისტენტობისათვის მოსამზადებელი კურსის კურიკულუმი და მას შემდეგ, რაც მისი ავტორიზება მოხდება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შესაძლებელი გახდება დასაქმების სააგენტოს მიერ გადამზადების მოკლევადიანი კურსების დაფინანსება. საუბრის დასასრულს თამარ ბარკალაიამ დააფიქსირა სამინისტროს მზაობა განაგრძოს აქტიური და რეგულარული თანამშრომლობა შშმ პირთათვის სერვისების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

სიტყვა გადაეცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს თამარ მახარაშვილს, რომელიც მიესალმა დამსწრეებს. მან ყურადღება გაამახვილა განხილული კვლევის ანგარიშის დასკვნით ნაწილზე, სადაც გამოწვევები და რეკომენდაციებია წარმოდგენილი და ხაზი გაუსვა უწყებათა კოლაბორაციულად მუშაობის მნიშვნელობას. აღნიშნა, რომ არსებობს საჭიროება განისაზღვრროს პერსონალური ასისტენტის კომპეტენციები. მუშაობა მიმდინარეობს მომზადება/გადამზადების პროგრამის ამოქმედებისათვის საჭირო უფლების მისაღებად.

ნიკო თათულაშვილმა სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს ალექსანდრე დარახველიძეს. მან დადებითად შეაფასა მიმდინარე შეხვედრა, სადაც სახელმწიფო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთად მსჯელობენ შშმ პირთა საჭიროებებსა და გამოწვევებზე. ალექსანდრე დარახველიძემ ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ შშმ პირთა უფლებების სამოქმედო გეგმაზე, რომელიც შშმ პირებთან ერთად მომზადდა და მათთვის მნიშვნელოვანი თემები აისახა. სამინისტროს სულ ასეთი 3 გეგმა აქვს შემუშავებული და თითოეული მათგანი რეალურად განხორციელებად

საკითხებს მოიცავს. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება, როგორც სამინისტროს თანამშრომლებისათვის, ასევე პოლიციისა და სამინისტროსში შემავალი სხვა დაწესებულებების თანამშრომელთათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს პრიორიტეტი გამოცდილების გაძლიერება და ამისათვის შემუშავებულია 10 სხვადასხვა მოდული. აღინიშნა, რომ სამინისტროს თანამშრომლებს გავლილი აქვთ ჟესტური ენის კურსები და მათ შეუძლიათ ჟესტურ ენაზე მოემსახურონ ყრუ პირებს. ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ შსს აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან და ატარებენ ტრენინგებს. ხაზი გაუსვა ყრუ პირებისათვის მართვის მოწმობის საკითხს და აღნიშნა, რომ გაეროს ექსპერტმა წარმოადგინა კვლევის ანგარიში და იგეგმება რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მიერ ქართული მართვის მოწმობების აღიარება.

სხდომის მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის N 551 დადგენილებით შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის ფარგლებში შექმნილი თემატური, სამუშაო ჯგუფების საქმიანობაზე. ნიკო თათულაშვილმა სიტყვა გადასცა კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თავმჯდომარეს გიორგი ძნელაძეს, რომელმაც შშმ პირთათვის მანქანის პარკირების საშვების საკითხი მიმოიხილა. მან აღნიშნა, რომ პარკირების წესთან ერთად საყურადღებოა ტრანსპორტის ადაპტირებისა და სამგზავრო ბარათების საკითხები. პარკირების საშვის შესახებ ხაზი გაესვა ერთიანი წესის საჭიროებას, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იმოქმედებს და შშმ პირებს ბარიერი არ შეექმნებათ. გიორგი ძნელაძემ აღნიშნა, რომ უნდა განისაზღვროს ნოზოლოგიები, რადგან მუნიციპალიტეტები ვერ გადაწყვეტენ ვის ეკუთვნის შშმ პარკირების ადგილის გამოყენების უფლება. მისი თქმით საშვით სარგებლობის უფლება უნდა განისაზღვროს ფორმა ნომერი 50/2-ით, რომელსაც გასცემს სპეციალური ლიცენზირებული დაწესებულება, ხოლო ნოზოლოგიები უნდა განსაზღვროს ჯანდაცვის სამინისტრომ. ნოზოლოგიების სიაში უნდა შევიდნენ მობილობის შეზღუდვის მქონე პირები, ის პირები, რომელთაც სუნთქვის უკმარისობასთან დაკავშირებული დიაგნოზი აქვთ, ხოლო იმ შშმ პირებს, რომელთაც გადაადგილების პრობლემა არ აქვთ საშვით არ უნდა სარგებლობდნენ. მისი თქმით, ამგვარად აქვს განსაზღვრული საპარკინგე საშვის წესი ევროპის რამდენიმე ქვეყანას. გიორგი ძნელაძემ აღნიშნა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც შშმ პირის საპარკინგე საშვს სხვა პირი იყენებს.

საპარკინგე საშვების შესახებ საუბარი განაგრძო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ნიკოლოზ როსებაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტებმა თავიანთ, შესაბამის პარკირების წესში, უნდა შეიტანონ ცვლილება, რაც მარტივია და საკრებულოს წესით ხორციელდება. მუნიციპალიტეტებისათვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ გარკვეული ტიპის დოკუმენტი, რითიც იხელმძღვანელებენ რა შემთხვევაში შეიძლება პარკირების საშვის გაცემა. იმის განსასაზღვრად, თუ ვისზე უნდა გაიცეს აღნიშნული საშვი, უნდა არსებობდეს ერთიანი მიდგომა და ყველა მუნიციპალიტეტმა

ერთიანი მიდგომით იხელმძღვანელოს, თუმცა დასარეგულირებელია პარკირების ერთიანი წესის საკითხი, რაც ყველა მუნიციპალიტეტში იმოქმედებს. ამგვარი წესის შემუშავება სირთულეებს უკავშირდება, რადგან თითოეული მუნიციპალიტეტი თავისი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედებს და განსაზღვრავს, ადგენს რეგულაციებს, მათ შორის პარკირების წესს. ნიკოლოზ როსებაშვილის თქმით ამ ნაწილში არც პრაქტიკა და არც სამართლებრივი საფუძველი არ არის მისაწვდომი. ამ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი საშუალება არის ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც ურთიერთაღიარება მოხდება. აღინიშნა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში პარკირების რეგულირების, შესაბამისად პარკირების წესის დადგენის საჭიროება არ არსებობს. თავდაპირველად საპარკინგე საშვის ერთიან წესში შესაძლოა ჩაერთნონ ბათუმის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტები რადგან ამ მუნიციპალიტეტებში შედარებით კარგად არის პარკირების საკითხი მოწესრიგებული. ხაზი გაესვა ერთიანი ბაზის არსებობის საჭიროებას, რათა ერთ მუნიციპალიტეტში გაცემული საპარკინგე საშვი სხვა მუნიციპალიტეტის საპატრულო პოლიციამ ნახოს დოკუმენტის წარმოშობის ადგილი ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა მუნიციპალიტეტში დაინერგა ერთიანი ელექტრონული სისტემები, რაც გულისხმობს მუნიციპალური სერვისების გაელექტრონულებას და მასში მათ შორის წარმოდგენილია პარკირების მოდული, რაც გულისხმობს თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი ელექტრონული შესაძლებლობების (ამ შემთხვევაში პარკირების ელ. მოდული) სხვა მუნიციპალიტეტებში გამოყენებას, შესაბამისად მაგალითად თბილისში გაცემული საპარკინგე საშვის ერთან ელექტრონულ ბაზაში დანახვის შესაძლებლობა ტექნიკურად სხვა მუნიციპალიტეტსაც შეეძლება.

ნიკო თათულაშვილმა შეაჯამა გამომსვლელების სიტყვა და ხაზი გაუსვა საპარკინგე საშვების ერთიანი წესის შესაქმნელად მნიშვნელოვან სამ აქტივობას: ნოზოლოგიების სიის შექმნა, ერთი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საშვიის სხვა მუნიციპალიტეტის მიერ აღიარების წესის განსაზღვრა და ერთიანი ბაზა, რაზეც მუშაობა დაწყებულია.

ნოზოლოგიების სიის შექმნასთან დაკავშირებით სიტყვა გადაეცა თამარ ბარკალაიას, რომელმაც მოიწონა ინიციატივა და აღნიშნა, რომ ნოზოლოგიების განსაზღვრა სწორი მიდგომაა და სამინისტროს მხრიდან გამოთქვა მზაობა. მისი თქმით ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოს აქვს კოდები, რომლებიც შეზღუდვის ტიპს აიდენტიფიცირებს, რისი საშუალებითაც შესაძლებელია მობილობის შეზღუდვის მქონე პირთა ჯგუფის გამოყოფა. თამარ ბარკალაიამ აღნიშნა, რომ საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ეს საკითხი დარეგულირებულია ფუნქციური შეფასების საშუალებით, რაც საქართველოშიც დაინერგება, ხოლო მანამდე უმჯობესია ფორმა ნომერი 50/2-ის საშუალებით მოხდეს საპარკინგე საშვების მინიჭების წესის განსაზღვრა.

აღნიშნულ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჯანდაცვის სამინისტროს ეთხოვოს ნოზოლოგიების სიის შემუშავება. მინისტრის მოადგილემ სამინისტროს მიერ ნოზოლოგიების სიის შედგენასთან დაკავშირებით თანხმობა გამოთქვა და აღნიშნა, რომ მიმდინარე კომიტეტის სხდომის ოქმი გახდება შეტყობინების საფუძველი.

პარლამენტის წევრმა რატი იონათამიშვილმა აღნიშნა პარკირების საშვებთან დაკავშირებით განხორციელებულ აქტივობებზე. კერძოდ, შეიქმნა ახალი წესი და პარკირების საშვი მზადდება კონკრეტული პიროვნების სახელზე და არა ავტომობილზე, ასევე ხაზი გაუსვა შშმ პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე სივრცის სხვა პირთა მიერ გამოყენების შემთხვევებს და აღნიშნა, რომ დაწესებულია ჯარიმა, რომელიც გაიზარდა და მიმდინარეობს კონტროლი, რათა შშმ პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე სივრცე სხვა ადამიანებმა არ დაიკავონ. მან საპარკინგე სივრცის ორ პრინციპზე ისაუბრა. ერთი პრინციპი არის, რომ შშმ პირისათვის განკუთვნილი საპარკინგე სივრცე უნდა იყოს უფრო განიერი ვიდრე სხვა ადგილები, რათა ეტლით მოსარგებლე ადამიანმა დაუბრკოლებლად შეძლოს მოძრაობა. მეორე პრინციპი არის საპარკინგე სივრცის მდებარეობა. მნიშვნელოვანია, რომ საპარკინგე სივრცე შენობის მთავარ შესასვლელთან ახლოს იყოს, რათა შშმ პირმა ადვილად შეძლოს გადაადგილება. ასევე ხაზი გაუსვა შემთხვევებს, როდესაც შშმ პირისათვის განკუთვნილ საპარკინგე საშვს სხვა პირი იყენებს, კერძოდ, შშმ პირის ოჯახის წევრი, თუმცა არა შშმ პირის საჭიროებისთვის, რისი გაკონტროლებაც რთულია და ეს ადამიანთა კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

შშმ საბჭოს წევრმა ნათია შარვაძემ გამოთქვა აზრი შეიქმნას ბაზა, სადაც წარმოდგენილი იქნება კრიტერიუმების ჩარჩო, რისი საშუალებითაც დაინტერესებული პირების მიერ დაფიქსირდება და აღირიცხება შემთხვევები, როდესაც შშმ პირთათვის განკუთვნილ ადგილს ტიპური განვითარების მქონე პირი იყენებს.

შშმ საბჭოს წევრი ორგანიზაცია მაკ ჯორჯიას წარმომადგენელმა ცირა ბარქაიამ გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება: მას შემდეგ, რაც ქვეყანა გადავა ფუნქციურ შეფასებაზე გაიზრდება ნოზოლოგიების სია და მოიმატებს საჭიროების მქონე პირთა რაოდენობა. საპარკინგე საშვებით სარგებლობის უფლება მიეცეთ შშმ პირთა ოჯახის წევრებსაც. ასევე გამოთქვა აზრი გამარტივდეს შშმ საპარკინგე საშვის არმქონე, თუმცა საჭიროების მქონე პირთა დაჯარიმების შემთხვევების გასაჩივრების წესი. აღნიშნული სისტემის გამარტივებამ შეიძლება საშვით სარგებლობის უფლების მქონე პირთა ბაზა გამართოს.

საპარკინგე საშვების შესახებ განხილვა ნიკოლოზ როსებაშვილმა შეაჯამა. აღნიშნა, რომ გაგრძელდება სამუშაო ჯგუფის აქტივობები აღნიშნული მიმართულებით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს. მან ისაუბრა სხვა პირთა მიერ საშვის გამოყენების შესახებ და აღნიშნა რომ ეს საკითხი რთული გასაკონტროლებელია, რადგან სხვის მიერ საშვის გამოყენების ფაქტის

დაფიქსირებისას შეიძლება ითქვას არგუმენტი, რომ სხვა პირი საშვს შშმ პირის საჭიროებიდან გამომდინარე იყენებს. გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შსს აქტიურად იყენებს ამ საშუალებას. იმ შემთხვევაში თუ დამჯარიმებლის მხრიდან გადაცდომას აქვს ადგილი ჯარიმა უქმდება. საუბრის დასასრულს ალექსანდრე დარახველიძემ გამოთქვა მზაობა ჩაერთოს თემატური, სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

კომიტეტის სხდომის მესამე ნაწილი დაეთმო მეორე თემატური სამუშაო ჯგუფით გათვალისწინებული ინკლუზიური განათლების საკითხის შესახებ პრეზენტაციებს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თამარ მახარაშვილმა ინკლუზიური განათლების შესახებ განხორციელებული აქტივობებისა და არსებული გამოწვევების შესახებ ისაუბრა. აღნიშნა, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვა 2006 წლიდან დაიწყო.

შეიქმნა 2022-2030 წლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია, რომლის მიზანია ბავშვზე/მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული თანასწორი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის მდგრადი ფორმირება. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023-2024 წლების ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომობისა და ხარისხის ზრდა განათლების ყველა საფეხურზე.

თამარ მახარაშვილი შეეხო სსსმ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკას. 2009 წელს რეგისტრირებული იყო 160 სსსმ მოსწავლე, მიმდინარე წელს 12.476 სსსმ მოსწავლე ფიქსირდება. შეიქმნა ინკლუზიური განათლების კოორდინატორის პოზიცია და 2018 წლიდან განისაზღვრა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი. აღინიშნა, რომ 7 რესურს სკოლა ფუნქციონირებს ქვეყნის მასშტაბით, მათგან 6 სკოლას აქვს პანსიონური მომსახურება. რესურს სკოლებში უსინათლო, ყრუ და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე 455 მოსწავლე ირიცხება.

პრეზენტაციაში წარმოდგენილი იყო დაფინანსების მოდელი სკოლებში:

×1-დან 5 სსსმ მოსწავლის ჩათვლით - 700 ლარი თვეში;

×6-დან 10 სსსმ მოსწავლის ჩათვლით - 1400 ლარი თვეში;

×11-დან 15 სსსმ მოსწავლის ჩათვლით - 2100 ლარი თვეში;

×16-დან 20 სსსმ მოსწავლის ჩათვლით - 2800 ლარი თვეში;

×21-დან 25 სსსმ მოსწავლის ჩათვლით - 3500 ლარი თვეში;

×25-ზე მეტი სსსმ მოსწავლის შემთხვევაში - 4200 ლარი თვეში;

×50-ზე მეტი სსსმ მოსწავლის შემთხვევაში - 7700 ლარი თვეში

დასახელებული თანხები არ შედის ვაუჩერით გათვალისწინებულ თანხაში. სკოლა თითოეულ მოსწავლეზე იღებს ვაუჩერს და სსსმ მოსწავლეზე ეძლევა დამატებითი თანხა.

დამატებითი მხარდაჭერა აქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ყოველ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტზე 1000 ლარი კვარტალურად. 2023 წელს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციის ეტაპზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დაუდასტურდა 321 აპლიკანტს, მათგან 282 ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას უზრუნველყოფენ დამატებითი სპეციალისტები სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი და მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი. თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, რომ გამოწვევა უფრო ადვილი მოსაწესრიგებელია, როდესაც იგი დაკავშირებულია ფინანსებთან და უფრო რთულია, როდესაც უკავშირდება კვალიფიკაციას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ აღინიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭა 99 სტუდენტს, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭა 1 სტუდენტს, რომელიც არის აუტიზმის სპექტრის მქონე პირი. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი მიენიჭა 11 მაგისტრს, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ინკლუზიური განათლების მიმართულებით 2022-2023 წლებში გადამზადდა: სპეციალური მასწავლებელი - 450. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი - 790, უფროსი საგნის მასწავლებელი - 1328, წამყვანი საგნის მასწავლებელი - 243. ყურადღება გამახვილდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები მოიაზრებს ინკლუზიური განათლების კომპონენტს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირველკლასელთა ადრეული რეგისტრაცია, ბრაილის სახელმძღვანელოების ბეჭდვა, დამხმარე ტექნიკური საშუალებების შეძენა, სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიების მომზადება მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის. საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში სსსმ და შშმ მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. საქართველოს მასშტაბით უზრუნველყოფილია მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება. ამოქმედდა სპეციალური მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების სქემა. განხორციელდა მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო მოდულად სპეციალური მასწავლებლის მოდულის ინტეგრირება. მომზადდა სპეციალური მასწავლებლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის დარგობრივი მახასიათებლები. კანონში შევიდა ცვლილება, რომ არსებული 60 კრედიტიანი მასწავლებლის

მომზადების პროგრამა შესაძლოა ინტეგრირებულ იქნეს 240 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სპეციალური მასწავლებლის მომზადების კურსი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროცესი, რათა დაწესებულებებმა ავტორიზაციის გზით შეძლონ სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამის დამატება. განხორციელდა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი ეროვნული სისტემის ფორმირება. შეიქმნა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის მოდელი, რომელსაც მეთვალყურეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ინკლუზიური განვითარების სამმართველო, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. ინკლუზიური განვითარების სამმართველოს აქვს საქმიანობის შემდეგი მიმართულებები: ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების მიმართულება. საკონსულტაციო მომსახურების მიმართულება. საგანმანათლებლო ტრანზიციის მხარდამჭერი მიმართულება. რესურსსკოლების განვითარების მიმართულება. თამარ მახარაშვილმა მიმოიხილა ინკლუზიური განათლების მიმართულებით გამოწვევები: ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მოდელის დანერგვა და განვითარება, დაფინანსების მოდელის განვითარება, მონიტორინგის სისტემის განვითარება, მიდგომების, მეთოდოლოგიის, მომსახურებისა და გარემოს განვითარება, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა, გარემოს და რესურსების ხელმისაწვდომობის სტანდარტების შექმნა, ელექტრონული სისტემების განვითარება,

- სასწავლო პროგრამების, დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებისა და ტექნოლოგიების განვითარება

მოწყვლადი ჯგუფებისათვის განათლების სერვისების განვითარება, ადამიანური რესურსის განვითარება, პროფესიული/საბაკალავრო/სამაგისტრო/გადამზადების პროგრამების განვითარება, პროფესიული სტანდარტების შექმნა/განვითარება, განათლების სისტემაში ჩართული სპეციალისტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლება, მულტიდისციპლინური გუნდის განვითარება, ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს სხდომა განაგრძო ცირა ბარქაიამ, რომელმაც Inclusive Policy Foundation-ის კონსულტანტის როლში, დამსწრე საზოგადოებას გააცნო ადრეული ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის ეტაპები და წარადგინა 2019 წელს შექმნილი ადრეული ინკლუზიური განათლების ჩარჩო დოკუმენტის ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა. დოკუმენტის მიზანია დაბადებიდან სკოლაში წასვლამდე, განვითარების შეფერხების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზაცია საგანმანათლებლო, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების მიმწოდებელთა ეფექტიანი თანამშრომლობით შექმნილი ადრეული და სკოლამდელი განათლების ინკლუზიური სისტემის მეშვეობით. აღნიშნული დოკუმენტის პროექტის

გათვალისწინებით შემუშავდება ადრეული ინკლუზიური განათლების სისტემური მექანიზმის პოლიტიკის დოკუმენტი და ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ლობირებით ნორმატიული აქტის პროექტთან ერთად წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

სხდომის ბოლო ნაწილი დაეთმო დისკუსიას.

შშმ საბჭოს წევრმა დავით ბიბილეიშვილმა ისაუბრა რესურს სკოლების საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ მათი დახურვა არასწორია, ვინაიდან არსებული პრობლემების მიუხედავად რესურს სკოლები მაინც ეფექტურია, რადგან ამზადებს შშმ პირებს უმაღლესი განათლებისთვის. უმაღლესი განათლების საფეხურზე ძალიან დიდი გამოწვევაა ინკლუზიური განათლებისა, რადგან გაიზარდოს რესურსებზე წვდომა. მოიწონა 112-ის აპლიკაციაში ცვლილებები, ვინაიდან გამოსწორდა უსინათლოებისათვის წვდომის შემზღუდველი ფაქტორები. აღნიშნა, დაუბეგრავი მინიმუმის ცვლილების საჭიროება.

დადებითად შეაფასა სოციალური გასაცემლის ინდექსაცია, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ გარკვეულ შშმ პირებს არ ეძლევათ.

შშმ საბჭოს წევრმა, საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტმა ამირან ბატატუნაშვილმა აღნიშნა, რომ განათლება ყრუ საზოგადოებისთვის დიდი გამოწვევაა, რადგან მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა მაინც მოქმედებს სამედიცინო მოდელი, დაასახელა პრობლემად ენა და კომუნიკაცია,

-რესურს სკოლების არსებობის მიუხედავად არ არის დანერგილი სწავლების თანამედროვე მოდელი, რადგან აკრძალულია ამ სკოლებში ჟესტური ენით სწავლება.

- ინკლუზია არაეფექტურია იმ ბავშვებისთვის, ვისაც არ ესმის, ამიტომ უნდა შეიქმნას ასეთი გარემო, მათ შორის, ყველა მასწავლებელი უნდა იყოს კვალიფიციური ამ მიმართულებით.

- სასმენი აპარატის ქონა არ გულისხმობს, რომ მას სრულად ესმის ხმა

- ვერცერთი ყრუ პირი ვერ აბარებს უმაღლეს დაწესებულებაში.

- მართვის მოწმობის საკითხი პრობლემურია ყრუ პირთან მიმართებით

- ხაზი გაუსვა საერთაშორისო სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ყრუ პირს სადგომებზე უცხოეთში უფასოდ ეძლევა პარკირების უფლება, გამოთქვა სურვილი არსებობდეს შშმ მძღოლებისთვის შეღავათი. აღნიშნა, რომ შშმ პირების მანქანები იზღვევა და მარტივია ამით იდენტიფიცირება, პარკირების საკითხთან მიმართებით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის სოციალური მომსახურების განვითარების პროგრამის კოორდინატორმა და შშმ საბჭოს წევრი ორგანიზაცია ანიკას წარმომადგენელმა, ექსპერტმა ზურაბ ტატანაშვილმა ისაუბრა დღის ცენტრების გეოგრაფიული მოცვის სირთულეებზე. აღნიშნა, რომ სოციალური მუშაობის მიმართულება უნდა განვითარდეს, ამისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ანაზღაურების საკმარისი ოდენობა და პროფესიის პოპულარიზაცია. ზურაბ ტატანაშვილმა გამოთქვა მოსაზრება პარკირების წესის ნოზოლოგიებით განსაზღვრის მიდგომის შესახებ და აღნიშნა, რომ პარკირების ასეთი გადაწყვეტა იქნება სამედიცინო მოდელის გაგრძელება და არა სოციალურის, რომელიც ეფუძნება ფუნქციონირების საჭიროებებს. სოციალური მომსახურების მონიტორინგის სისტემები საჭიროებს მნიშვნელოვან დახვეწას იმისათვის რომ შესაძლებლობა გვქონდეს გავიგოთ რა შედეგებს აღწევს მოსარგებლეებში თითოეული პროგრამა და სად არის გაუმჯობესების საჭიროება. მსგავსი სისტემების განვითარება დაწყებულია რამდენიმე პროგრამაში და აუცილებელია ამ მხრივ ძალისხმევის გაზრდა.

შშმ საბჭოს წევრმა, ორგანიზაცია სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმომადგენელმა მარიამ ჯანიაშვილმა ისაუბრა საცხოვრისი სერვისების განვითარების საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალური სერვისები უნდა განვითარდეს ამ მიმართულებით. ასევე ისაუბრა პანსიონატებში მცხოვრებთა შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ადამიანები ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან, დაასახელა კონკრეტული ქეისი. მარიამ ჯანიაშვილმა დასვა შეკითხვები: შესაძლებელია თუ არა ხანდაზმულ შშმ პირებს მიეცეთ პენსიასთან ერთად სოციალური გასაცემი. რა ნაბიჯები იგეგმება სოციალური სერვისების განვითარების მიმართულებით, მუნიციპალიტეტების ჩართულობით?

პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა მარიამ ჯანიაშვილს შესთავაზა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით ითანამშრომლოს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტთან და დეპარტამენტი დაუკავშირდება მუნიციპალიტეტებს.

შშმ საბჭოს წევრმა ნონა კენჭუაშვილმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ინკლუზიური განათლების მიმართულებით მიღწეულ პროგრესთან ერთად ამ სფეროში არსებული იდენტიფიცირებული პრობლემების დაძლევის გეგმისა და ხედვების გაზიარებისთვის. ისაუბრა რეგიონებში სპეციალისტების, კერძოდ სპეციალური მასწავლებლების, ფსიქოლოგებისა და ოკუპაციური თერაპევტების კრიტიკულ სიმცირეზე, ამასთან, ყურადღება გაამახვილა მაღალ მთასა და ბარის შორეულ სოფლებში მდებარე მცირეკონტიგენტიანი სკოლების დამატებითი მხარდაჭერის აუცილებლობაზე. დასვა კითხვები სკოლების მიერ სსსმ მოსწავლეებისთვის დამატებით გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე. კითხვების ძირითადი არსი: ეს სახსრები იხარჯება სკოლის საერთო საჭიროებებისთვის თუ სრულად ხმარდება რესურს ოთახების განვითარებას და სხვა ამ რიგის საკითხების გადაწყვეტას? აგრეთვე, განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების პრობლემაზე, მათ შორის, მრავლობითი დარღვევების მქონე შშმ ბავშვთა საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების და/ან სწავლების სხვა ფორმის გამოყენების შესაძლებლობაზე.

შშმ საბჭოს წევრმა ლია ტაბატაძემ, - დაუნის სინდრომის ასოციაციის წარმომადგენელმა დასვა შეკითხვები: განათლების მიმართულებით სამომავლო ხედვებში რა იგეგმება, სკოლების ადაპტირების კუთხით, ასევე საპირფარეშოების ადაპტირების კუთხით. ასევე ტრანზიცია თუ არის გათვალისწინებული ბაღიდან სკოლაში?

შშმ საბჭოს წევრმა ნანა ლომაძემ აღნიშნა, რომ სპეციალისტები დგანან რისკის ქვეშ, ფინანსური სიძნელეების გამო. დღის ცენტრებში სპეციალისტების დაფასების პრობლემაა. ტრანსპორტირების პრობლემაა რეგიონებში, დღის ცენტრების სპეციალისტებისთვის.

შშმ საბჭოს წევრმა გიორგი ძნელაძემ ისაუბრა შშმ ბანაკის შესახებ, რომელიც კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ორგანიზებით გაიმართა. ბანაკში გამოვლინდა რამდენიმე ადამიანი, რომელსაც ძალიან დიდი ნიჭი აქვს გარკვეული ხელოვნების დარგების მიმართულებით და იქნებ შემუშავდეს რაიმე ფორმატი ამ ხალხის უმაღლესი განათლების სისტემაში ინტეგრაციისთვის.

შშმ საბჭოს წევრების შეკითხვებს კომიტეტის სხდომაზე დამსწრე მინისტრის მოადგილეებმა უპასუხეს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თამარ მახარაშვილმა აღნიშნა, რომ სამინისტრო გეგმავს რესურს სკოლების გაძლიერებას, აღიარებულია მათი კომპეტენციას, უნდა დაინერგოს მათი გამოცდილების გაზიარება სხვა სკოლებისთვის. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირებისათვის ითხოვა კონკრეტული შეუსაბამობის შემთხვევების მიწოდება, რადგან თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზებულია ადაპტირებულია და გულისხმობს, რომ მორგებულია შშმ პირთა საჭიროებებზე.. ჟესტური ენის სპეციალისტებზე აღინიშნა, რომ აკადემიური სივრცე არ ახორციელებს ჟესტური ენით მოსარგებლე პირების კვალიფიკაციას და როდესაც კვალიფიკაცია ამაღლდება, ეს პრობლემა აღმოიფხვრება. მცირეკონტიგენტიან სკოლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არის მიზნობრივი, მაგრამ სკოლას მაინც აქვს უფლება დამოუკიდებლად განკარგოს საკუთარი საჭიროებების მიხედვით, თუმცა ამ მხრივაც ხდება მონიტორინგი. არის კადრების დეფიციტი და საგნების დაფარვაც არ ხდება ბოლომდე, მუშავდება კადრების წახალისების პროგრამები. საუბრის დასასრულს თამარ მახარაშვილმა შესთავაზა შშმ საბჭოს წევრებს მოეწყოს ცალკე შეხვედრა, შესაძლებელია იყოს ონლაინ რეჟიმში, სადაც აღნიშნულ სხდომაზე ხსენებული საკითხები კიდევ უფრო სიღრმისეულად განიხილება.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა გამოთქვა მზაობა იანვარში შედგეს დამატებითი შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მინისტრის მოადგილემ თამარ ბარკალაიამ დასმულ კითხვებზე საპასუხოდ აღნიშნა, რომ სერვისების განვითარების სტრატეგია მუშაობა დასრულებულია და მისი მიზანია ერთობლივად და სწორად განისაზღვროს სერვისების განვითარება, მათ შორის დეცენტრალიზაციის მექანიზმები, ასევე დღის ცენტრების განვითარების მექანიზმი. სწორედ დღის ცენტრები განიხილება დეცენტრალიზაციის ერთ-ერთ პირველ საშუალებად. მუნიციპალიტეტებისათვის კარგი საშუალებაა დღის ცენტრების თანამშრომლების წახალისებაში ჩართვა. თამარ ბარკალაიამ ისაუბრა ჩეხეთის განვითარების

სააგენტოს მხარდაჭერით ადრეული ინკლუზიური განათლების შესახებ განხორციელებული პროექტის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროექტი განათლებისა და მეცნიერების და ჯანდაცვის სამინისტროების შორის კომუნიკაციით წარიმართოს. ხაზი გაესვა, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ მონიტორინგის ახალი მექანიზმი შეიმუშავა, რომელიც მოიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივ, შედეგზე ორიენტირებულ ინდიკატორებს. სამინისტროს აქვს საკანონმდებლო ინიციატივა კერძო სათემო ორგანიზაციების ლიცენზირების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთხით მართვის მოწმობის შესახებ შეკითხვას უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ და აღნიშნა, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს ყრუ პირებზე მართვის მოწმობის გაცემის საკითხის დარეგულირებისათვის, კერძოდ, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით იკვლევს საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრაქტიკას და მუშაობს საკანონმდებლო რეგულირებაზე. აღნიშნა, რომ ექსპერტმა საკითხით დაინტერესებულ პირებთან ერთად შეიმუშავა რეკომენდაციები და ამ საკითხზე მუშაობა აქტიურად გრძელდება. ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა საბჭოს წევრის მიერ 112-ის მომსახურების მისაწვდომობის უზრუნველყოფის ფაქტზე და აღნიშნა, რომ საკონსულტაციო საბჭო შშმ პირთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი მექანიზმია.

კომიტეტის სხდომა პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა შეაჯამა და აღნიშნა, რომ საკონსულტაციო საბჭო აქტიურად განაგრძობს მიმდინარე საკითხებზე მუშაობას და 2024 წლის დასაწყისში შემდგომ აქტივობებს დაგეგმავს. საუბრის დასასრულს ნიკო თათულაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ჩართულობა და კომუნიკაცია არის ყოველთვის თანამშრომლობითი და პრობლემების აღმოფხვრაზე ორიენტირებული. კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მთავრობის ადმინისტრაციის ვალდებულებას, ხელი შეუწყოს სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციას.„

დანართი N1. დღის წესრიგი

2 დეკემბერი	
15:00	თბილისიდან გამგზავრება. შეკრების ადგილი - ვარდების რევოლუციის მოედანი, ველოსიპედის ძეგლთან
19:00 – 21:00	<u>ვახშამი</u>

3 დეკემბერი	
10:00 – 10:30	<u>მისალმება</u> - ნიკო თათულაშვილი – პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში - რატი იონათამიშვილი - პარლამენტის წევრი - ვლადიმირ შკოლნიკოვი - გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის უფროსი მრჩეველი სამხრეთ კავკასიაში
10:30- 11:00	<u>სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების კვლევის პრეზენტაცია</u> - ლალი ხანდოლიშვილი - თემი „ქედელი“
11:00 – 11:30	<u>დისკუსია</u>

11:30 – 12:00	ყავის შესვენება და ოთახებიდან გამოსვლა
12:00 – 12:30	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის დადგენილებით შექმნილი თემატური, მუნიციპალიტეტებთან საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის შესახებ მოხსენებები - გიორგი ძნელაძე - „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თავმჯდომარე“ - ნიკოლოზ როსებაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა დაპოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
12:30 – 13:00	დისკუსია
13:00 – 14:00	სადილი
14:00 – 15:00	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის დადგენილებით შექმნილი თემატური, ინკლუზიური განათლების, სამუშაოჯგუფის შესახებ მოხსენებები - ცირა ბარქაია - ორგანიზაცია Inclusive Policy Foundation, ადრეულიინკლუზიური განათლების პოლიტიკის ფორმირებისა და დანერგვის ხელშეწყობის ტექნიკური კონსულტანტი - თამარ მახარაშვილი - განათლებისა და მეცნიერების მინისტრისმოადგილე
15:00 – 15:45	დისკუსია
15:45 – 16:00	დღის შეჯამება და შემდეგ ნაბიჯებზე შეთანხმება
16:00 – 16:15	ყავის შესვენება
16:15	გამგზავრება თბილისში

დანართი N2. დამსწრე პირთა სია

სახელმწიფო უწყება	დამსწრე პირი
საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში	ნიკო თათულაშვილი
განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე	თამარ მახარაშვილი
შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე	ალექსანდრე დარახველიძე
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	თამილა ბარკალაია
ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო	ნიკოლოზ როსებაშვილი
იუსტიციის სამინისტრო	მარინა კობახიძე
საქართველოს პარლამენტი	რატი იონათამიშვილი
საქართველოს პარლამენტი	სალომე ავალიშვილი
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ეკატერინე მელქაძე
საგარეო საქმეთა სამინისტრო	გიორგი ნაკაშიძე
თავდაცვის სამინისტრო	გიორგი ბოცვაძე
სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	რუსუდან კოხოძე
იურიდიული დახმარების სამსახური	ნინო მელაძე
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	ლია ჩარექიშვილი
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	გურამ სუხაშვილი
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	თეიმურაზ მღებრიშვილი